



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 188

2011 წლის 21 დეკემბერი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის თანდართული პროგრამა საერთო ბიუჯეტით 40000 (ორმოცათასი) ლარი.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს, შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით დამიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სპორტული მოედნების(სპორტული კომპლექსების) მოვლას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა – 40000 ლარი

	დასახელება	თვის ხარჯი	სულ წელიწადში
1	ადმინისტრაციული ხარჯები	1200	14400
2	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა	425	5100
3	ტერიტორიების და მათზე განლაგებული სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა	795	9540
4	ტერიტორიების და მათზე განლაგებული ნაგებობების და მოწყობილობების შენახვისათვის აუცილებელი მიმდინარე ხარჯები	913.33	10960
		3333.33	40000

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების ობიექტები

1. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედია შემდეგი სპორტული მოედნები ქ. ხაშურში- ტაბიძის ქუჩაზე დასვენებისა და კულტურის ბაღში მდებარე ჩოგბურთის კორტი და მინი ფეხბურთის მოედანი და სასეირნო ბაღი, დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული კომპლექსი და სკვერი, ქ. ხაშურში ბორჯომის ქუჩაზე მდებარე სკვერი, დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა ხარჯების გათვალისწინებით განხორციელდება მოვლა-შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რაც თავისმხრივ გულისხმობს:

- ა) სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას;

მუხლი 5. სხვა დებულებები

იმის გათვალისწინებით რომ ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩა #21-ში და დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირება განუყოფელია მიმდებარე პარკების დანიშნულებასთან და განიხილება მიმდებარე კულტურისა და დასვენების პარკებთან მთლიანობაში, პროგრამის გავრცელების გაგრძელებამ უნდა მოიცვას ზემოთ აღნიშნული პარკების მთელი ტერიტორიები.